შპს ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ

პ. ქავთარაძეს №14ა, XXII სართული,

ს/კ 404870724

GEORGIAN CONTEMPORARY CONSTRUCTION LTD.

P. Kavtaradze Ave. #14a, XXII Floor,

I/C 404870724

30.10.2020 წ.

ს ა ე ქ ს პ ე რ ტ ო დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. #56 (ნაკვეთი №01.10.06.001.249)-ში, მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მოსაზღვრე მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 01.10.06.001.021); (ს.კ. 01.10.08.006.065).
არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებით.

მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები (ბლოკი 1 და ბლოკი 2) მდებარეობს გიორგი ბრწყინვალეს ქ. #56 (ნაკვეთი №01.10.06.001.249)-ში. შენობები 19 სართულიანია, მათ შორის 3 მიწისქვეშა და 16 მიწისზედა სართულით.

შენობების გეგმარებითი პარამეტრები:

ბ ლ ო კ ი 1

შენობა გეგმარებაში **Г**-სებრი ფორმისაა; ღერძებში ზომებით: **41.6X40 მ**; მაქსიმალური მალი შეადგენს **L=6,6 მ.** შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი სისტემა მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმებით.

შენობის სართულის მაქსიმალური სიმაღლე, **H=3,65** მ.

შენობის დაფუძნების პირობები:

სამშენებლო მოედნის გეოტექნიკური აგებულებიდან გამომდინარე შენობის დაფუძნება გადაწყვეტილია **მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილის და ხიმინჯების მეშვეობით** ხელოვნურ გრუნტზე; ხიმინჯების (სიგრძით **23 მ.**) ჩაღრმავება ხდება თიხოვან ქანში (ფენა 5) (იხ. შპს **,,თბილინვესტპროექტი,,**-ს 2020 წლის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა). რომლის საანგარიშო წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში შეადგენს: **R0=1,5კგ/სმ²; R0=2,0კგ/სმ²**

ბ ლ ო კ ი 2

შენობა გეგმაში მარტივი კონფიგურაციისაა მაქსიმალური ღერძული ზომებით: **67.5 X 18.1 მ.** შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი მონოლითური რკინაბეტონის სისტემა. შენობის სართულის მაქსიმალური სიმაღლე, **H=3,65** მ; შენობის მაქსიმალური მალი ღერძებში აღწევს **L=6.6 მ**;

შენობის დაფუძნების პირობები:

სამშენებლო მოედნის გეოტექნიკური აგებულებიდან გამომდინარე შენობის დაფუძნება გადაწყვეტილია **მონოლითური რკინაბეტონის საძირკვლის ფილის და ხიმინჯების მეშვეობით** ხელოვნურ გრუნტზე; ხიმინჯების (სიგრძით **23 მ.**) ჩაღრმავება ხდება თიხოვან ქანში (ფენა 5) (იხ. შპს **,,თბილინვესტპროექტი,,**-ს 2020 წლის საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა). რომლის საანგარიშო წინაღობა ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში შეადგენს: **R0=1,5კგ/სმ²; R0=2,0კგ/სმ²**

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია **8 ბალიანი** სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით **(A=0.17);** გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - **II**;

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - **85 კგძ/მ²** (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - **50 კგძ/მ²** (თოვლის საფარის დღეთა რიცხვი -**14**);

შენობები და მათი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გაანგარიშება, მუდმივ (საკუთარი წონა), დროებით, ხანმოკლე, თოვლის, ქარის და ჰორიზონტალურ 0.17g აჩქარების (1.67 მ/წმ²) შესაბამის სეისმურ ზემოქმედებაზე, შესრულებულია შპს ,,პროგრესი"-ს მიერ. საპროექტო სამუშაო დოკუმენტაციაში მიღებული მზიდი კონსტრუქციული ელემენტების პარამეტრები განსაზღვრული იქნა, სერტიფიცირებული და ლიცენზირებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის **LIRA SAPR 2013 R3**-ის გამოყენებით.

პროექტი შესრულებულია ქვეყანაში მოქმედი შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად:

1) პნ 01.05-08 ,,სამშენებლო კლიმატოლოგია"
2) პნ 01.01-09 ,,სეისმომედეგი მშენებლობა"
3) პნ 03.01-09 ,,ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები"
4) პნ 02.01-08 ,,შენობისა და ნაგებობის ფუძეები"
5) СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и воздействия»

შენობებს ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში, **21 მეტრის** მოშორებით ესაზღვრება ერთსართულიანი ნაგებობა **(ს.კ. 01.10.06.001.021)**. დასავლეთ ნაწილში, **54 მეტრის** მოშორებით ესაზღვრება ერთსართულიანი ნაგებობა **(ს.კ. 01.10.06.001.129)**. სხვა მიმდებარე საკადასტრო ერთეულებზე: **(ს.კ. 01.10.06.001.248); (ს.კ. 01.10.08.006.065); (ს.კ. 01.10.08.006.047); (ს.კ. 01.10.08.006.051); (ს.კ. 01.10.08.006.056); (ს.კ. 01.10.08.006.061); (ს.კ. 01.10.06.001.221)** შენობა-ნაგებობები არ მდებარეობს.

ვინაიდან, მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული, ზემოთ აღნიშნული, შენობა-ნაგებობები საპროექტო შენობისგან მოშორებულია დასაშვები მანძილით, მოსაზღვრე შენობებს საფრთხე არ ექმნება ნორმირებული მშენებლობის პროცესში და შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში.

დასკვნა:

გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდებარეობიდან. ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ შეუქმნის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს (ს.კ. 01.10.06.001.021); (ს.კ. 01.10.06.001.129) და მოსაზღვრე საკადასტრო ერთეულებს (ს.კ. 01.10.06.001.248); (ს.კ. 01.10.08.006.065); (ს.კ. 01.10.08.006.047); (ს.კ. 01.10.08.006.051); (ს.კ. 01.10.08.006.056); (ს.კ. 01.10.08.006.061); (ს.კ. 01.10.06.001.221); როგორც ნორმირებული მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებშიც. დამატებითი კონსტრუქციული ღონისძიებების ჩატარება, შენობის დაფუძნების პირობებიდან გამომდინარე საჭირო არ არის.

შპს ,,ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ“-ის
დირექტორი/ მთ.კონსტრუქტორი:

გიორგი ჩიკვაიძე
ინჟინერიის დოქტორი მშენებლობაში
ევროკოდის ექსპერტი

შპს ,,ჯორჯიან კონტემპორარი კონსტრაკშენ“-ის
კონსტრუქტორი:

დავით ქავთარაძე
კონსტრუქტორი